



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1817  
24/10/2018

ქალაქი ბათუმი

1817-05-4-201810241123



### ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების კონსტრუქციების (ხაზობრივი ნაგებობა) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით განხორციელდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების კონსტრუქციების (ბოძების) მონტაჟი, რომლის მოვლა-პატრონობასაც ახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის ქონების შექმნის ერთ-ერთი წყარო არის საკუთარი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით შექმნილი ქონება, ასევე ამავე კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების კონსტრუქციები, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების კონსტრუქციები (ხაზობრივი ნაგებობები) ექვემდებარება საჯარო რეესტრში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით (ხაზობრივი ნაგებობა) რეგისტრაციას.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ანა ბაჟაშვილის 2018 წლის 19 ოქტომბრის №3030/05 მოხსენებითის თანახმად **ებრძანებ:**

1. საჯარო რეესტრში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხოს დანართში მითითებული გარე განათების კონსტრუქციები (ხაზობრივი ნაგებობები) წარმოდგენილი აზომვითი ნახაზების შესაბამისად.

2. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხოს წინამდებარე ბრძანების პირველ პუნქტში გათვალისწინებული უძრავი ქონება.

3. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის მიზნით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სახელით შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსს ანა ბაჟაშვილს (პ/ნ 61006028236).

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი #358) მისი გაცნობიდან ერთვი თვის ვადაში, სადაც მხარეს წარმოადგენს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია.

5. ბრძანება ძალაში ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა

